სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

05/09/2024

MES 6 24 0001071420

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლისათვის მასწავლებლის
მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები
გამოცდის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბერის ბრძანება №111/ნ -ის ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე'' მე-5 მუხლისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (05/09/2024წ; N1071219) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024-2025 სასწავლო წლისთვის სტუდენტთა მიღება განხორციელდეს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

N	**პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით**

1	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)
2	მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)
3	გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)
4	ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური)
5	ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)
6	ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური)
7	ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური)
8	ინგლისური ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)
9	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
10	სპორტი
	სულ 50 ადგილი, დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ

2. აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება რექტორის სახელზე;
- პირადობის მოწმობის ასლი /დედანთან ერთად;
- უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი (დედანთან ერთად) / ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი;

- 2 ფოტოსურათი 3X4;
- სამხედრო ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);
- მიმართულების შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ;

3. მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთა განცხადებების წარდგენის ვადები განისაზღვროს 2024 წლის 9 სექტემბრიდან 2024 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით;

4. დაევალოს განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს:

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
- საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების შექმნაზე სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა 2024 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით;

- მისაღებ გამოცდაზე დაშვების შესახებ სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა 2024 წლის 17 სექტემბერს;
- მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდა ჩატარდეს 2024 წლის 18 სექტემბერს;
- გამოცდების შედეგები გამოცხადდეს 2024 წლის 18 სექტემბერს;
- გამოცდის შედეგების გასაჩივრების თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 18-19 სექტემბერს;.
- ჩასარიცხ აპლიკანტებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2024 წლის 18-19 სექტემბერს;
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა 2024 წლის 18-19 სექტემბერს;
- მიღება განხორციელდება, თუ პროგრამაზე ჩასარიცხ აპლიკანტთა რაოდენობა იქნება 2 ან მეტი;
- მისაღები გამოცდა შეფასდეს მაქსიმუმ 100 ქულით;
- მისაღები გამოცდის კომპეტენციის მინიმალურ ზღვრად განისაზღვროს 51 ქულა (პირი ჩაირიცხება თუ მისი გამოცდის ქულა იქნება 51 ან მეტი);
- ბოლო ვაკანტურ ადგილზე კონკურენციის პირობებში (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდის თანაბარი ქულების შემთხვევა) უპირატესობა მიენიჭოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდის მაღალ ქულას;
- ბოლო ვაკანტურ ადგილზე კონკურენციის შემთხვევაში (უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდის თანაბარი ქულების არსებობის შემთხვევა) უპირატესობა მიენიჭოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდის მაღალ ქულას;
- სახელმწიფოს მიერ დაფინანსდებიან ის სტუდენტები, რომლებსაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდაზე მიღებული აქვთ რიგითობის მიხედვით მაღალი ქულა (თანაბარი ქულის შემთხვევაში დაფინასებას მიიღებს ის სტუდენტი, რომელიც რიგითობის მიხედვით მაღალ ქულას მიიღებს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდაში).

5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ.ბეჟანიშვილი) ბრძანების მიწოდება: თესაუ–ს განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის, საფინანსო, ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს სამსახურებისთვის და უნივესიტეტის საგამოცდო ცენტრისათვის;

6. დაევალოს განათლების ფაკულტეტს რანჟირების დოკუმენტის მომზადება 2024 წლის 18-19 სექტემბერს;

7.დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს (თ. ასლანიშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

8.წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს (ი. შიოშვილი);

9.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

10.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ
გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა